საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12867/01
10/12/2021

12867-01-2-202112101154

შპს „ჩესის“

მის: ქ. ყვარელი აბიბოს ნეკრესელის ქ. N37

ელ. ფოსტა: zudadato@gmail.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N20598 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამახარისხებელი და სამშენებლო ბლოკის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია როგორც არსებული, ისე დაგეგმილი საქმიანობების შესახებ, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 250 მეტრს, ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით 194 მეტრში, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის, ვიბრაციის, ასევე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებით გამოწვეული ზემოქმედება შეფასებული უნდა იყოს უახლოესი მოსახლის გათვალისწინებით;
- დაზუსტებას საჭიროებს გ-1 წყაროდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვეული რაოდენობის ანგარიშისას შემასწორებელი კოეფიციენტის 0,1-ის გამოყენების საფუძველი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ქვის სველი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში;
- დოკუმენტს უნდა ახლდეს საწარმოს საკადასტრო რუკის შესაბამისი გენ-გეგმა ექსპლიკაციით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს წყალაღებისა და წყალჩაშვების GPS კოორდინატები, ასევე აღებული წყლის განაწილება თვეების მიხედვით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. ბურსას ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წყალაღების პირობები განხილულია ,,გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე" 2014 წლის 3 იანვრის საქართველოს მთავრობის #17 დადგენილების შესაბამისად, ხოლო წყალჩაშვების მართვის საკითხები ,,ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე " 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #414 დადგენილების შესაბამისად, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ორივე ტექნოლოგიური ხაზის შესახებ: სამუშაო გრაფიკი, წყლის გამოყენების საკითხი, მუშაობის სქემა და სხვა.;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში (ქვიშის რეცხვა) გამოიყენება წყალი, დაბინძურებული წყლის წმენდა ხდება საწარმოში არსებულ ჰორიზონტალურ სალექარში, რომლის წარმადობა შეადგენს 140 $მ^3$/დღ. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჰორიზონტალური სალექარის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ნიადაგზე და ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ტრანსპორტირების და დასაწყობების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე